

შპს „კარო ნათ ჯორჯია“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „კარო ნათ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	504 102	549 034	596 292
სულ გრძელვადიანი აქტივები		504 102	549 034	596 292
სასაქონლო მარაგები		-	151	1 065 997
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	282 501	273 305	1 762 334
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		298	482 852	326 782
სხვა მიმდინარე აქტივები	6	588 080	301 833	716 927
სულ მოკლევადიანი აქტივები		870 880	1 058 141	3 872 040
სულ აქტივები		1 374 982	1 607 176	4 468 332
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	7 684 792	7 185 893	7 750 699
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7 684 792	7 185 893	7 750 699
სულ ვალდებულებები		7 684 792	7 185 893	7 750 699
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		217 677	216 877	216 679
გაუნაწილებელი მოგება		(6 527 487)	(5 795 594)	(3 499 046)
სულ საკუთარი კაპიტალი		(6 309 810)	(5 578 717)	(3 282 367)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1 374 982	1 607 176	4 468 332

შპს „კარო ნათ ჯორჯია“-ის
დირექტორი ლორტ მარტი ბლაი




შპს „კარო ნათ ჯორჯია“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	8	10 409	6 558 147
ამონაგების თვითღირებულება		(151)	(5 392 138)
საერთო მოგება		10 258	1 166 009
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(299 568)	(3 144 375)
ფინანსური ხარჯი		-	
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		(442 582)	(317 840)
მოგება დაბეგვრამდე		(731 892)	(2 296 206)
მოგების გადასახადი		-	(343)
წმინდა მოგება/ზარალი		(731 892)	(2 296 549)

შპს „კარო ნათ ჯორჯია“-ის
დირექტორი ლორე მარტი ბლაი




შპს „კარო ნათ ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებე ლი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2018	(3,282,367)	-	(3,282,367)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		199	199
გაცემული დივიდენდები			
პერიოდის მოგება		(2,296,549)	(2,296,549)
ნაშთი - 31.12.2018	(3,282,367)	(2,296,350)	(5,578,718)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		800	800
გაცემული დივიდენდები	-		-
პერიოდის მოგება		(731,892)	(731,892)
ნაშთი - 31.12.2019	(3,282,367)	(3,027,443)	(6,309,810)

შპს „კარო ნათ ჯორჯია“-ის
დირექტორი ლორე მარტი ბლავი



შპს „კარო ნათ ჯორჯია“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კარო ნათ ჯორჯია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 07/02/2013). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბურძღლას ქ. N 74-74ა-74ბ. მისი ძირითადი საქმიანობაა თხილით ვაჭრობა. კომპანიის საქმიანობა შეიცავს წარმოების ელემენტებსაც, რამდენადაც ხდება შესყიდული პროდუქციის სახის შეცვლა: ნაჭუჭის მოცლა, დახარისხება და სხვა. კომპანია საქონელს ჰყიდის, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|--------------------------------------|------------------|
| • შენობა-ნაგებობები | 5 პროცენტი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10 – 20 პროცენტი |
| • მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა | 10 – 30 პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას

კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 4.

ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	შენობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
თვითღირებულება	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
1 იანვარი 2017 წ.	48,018	6,149	47,156	-	2,093
შემოსვლა	17,348	541	39,841	521,619	5,461
გასვლა	-	(25)	(3,310)	-	(5,461)
31 დეკემბერი 2017 წ.	65,365	6,664	83,687	521,619	2,093
დაგროვილიცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი 2017 წ.	(32,012)	(3,664)	(19,146)	-	(399)
წლიური ცვეთა	(11,338)	(1,230)	(12,410)	(4,347)	(496)
გასული აქტივის ცვეთა	-	21	1,702	-	182
გაუფასურება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2017 წ.	(43,350)	(4,872)	(29,854)	(4,347)	(713)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2017 წ.	22,015	1,792	53,833	517,272	1,381
	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	შენობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
თვითღირებულება	ლარი	ლარი		ლარი	ლარი
1 იანვარი 2018 წ.	65,365	6,664	83,941	521,619	2,093
შემოსვლა	-	100	12,530	-	-
გასვლა	-	(428)	(17,142)	-	-
31 დეკემბერი 2018 წ.	65,365	6,336	79,329	521,619	2,093
დაგროვილიცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი 2018 წ.	(43,350)	(4,872)	(29,854)	(4,347)	(713)
წლიური ცვეთა	(9,863)	(1,226)	(14,562)	(26,081)	(314)
გასული აქტივის ცვეთა	-	363	9,110	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018 წ.	(53,214)	(5,735)	(35,305)	(30,428)	(1,027)
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2018 წ.	12,152	601	44,023	491,191	1,067
	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	შენობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
თვითღირებულება	ლარი	ლარი		ლარი	ლარი
1 იანვარი 2019 წ.	65,365	6,336	79,329	521,619	2,093
შემოსვლა	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	(3,464)	-	(2,093)
31 დეკემბერი 2019 წ.	65,365	6,336	75,865	521,619	-
დაგროვილიცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი 2019 წ.	(53,214)	(5,735)	(35,305)	(30,428)	(1,027)
წლიური ცვეთა	(3,478)	(198)	(12,568)	(26,081)	(209)
გასული აქტივის ცვეთა	-	-	1,923	-	1,236
გაუფასურება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019 წ.	(56,691)	(5,933)	(45,950)	(56,509)	-
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019 წ.	8,674	403	29,915	465,110	-

შენიშვნა 5.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	282 501	273 305	195 527
მოთხოვნები საზღვარგარეთ მიწოდებიდან	-	-	1 566 807

შენიშვნა 6.

სხვა მიმდინარე აქტივები

	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
გადახდილი ავანსი	4,360	14,758	206,201
გაცემული სესხი და მისაღები პროცენტები	321,091	276,943	468,262
საგადასახადო აქტივი	963	5,856	7,074
გაცემული სესხზე დარიცხული მოგების გადასახადის აქტივი	-	-	32,263
სხვა მასალები	1,378	4,276	3,127
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	260,288	-	-
სულ:	588,080	301,833	716,927

შენიშვნა 7.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი
ვალდებულებები

	2019 ლარი	2018 ლარი	2017 ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	83 753	92 916	380 231
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	7 599 391	7 092 977	7 348 894
სხვა ვალდებულებები	1 647	-	21 574
სულ:	7 684 792	7 185 893	7 750 699

შენიშვნა 8.

ამონაგები	2019 ლარი	2018 ლარი
ადგილობრივი მიწოდება	1 339	500 333
ექსპორტი	-	6 057 814
შემოსავალი იჯარიდან	9 070	-
	10 409	6 558 147

შენიშვნა 9.

ადმინისტრაციული ხარჯები	2019 ლარი	2018 ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(211 010,20)	(2 147 804,20)
ცვეთა და ამორტიზაცია	(42 534,01)	(52 045,12)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(46 023,78)	(944 525,85)
სულ:	(299 568)	(3 144 375)

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 28 სექტემბერს.

შპს „კარო ნათ ჯორჯია“-ის
დირექტორი ლორე მარტი ბლაი